ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725307001
თარიღი:03/11/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის

საკრებულოს პირველი სხდომის

ოქმი N-01

დ. ლენტეხი. 30 ოქტომბერი.2025წ.

2025 წლის 30 ოქტომბერს დღის 11 საათზე შედგა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს მორიგი N-01 სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს რეგისტრაციაგავლილი 23 (ოცდასამი) დეპუტატი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ახლი მერი გიორგი გაზდელიანი და მერის მოადგილეები მარადი ლიპარტელიანი და ლევან ლიპარტელიანი.

სხდომას ესწრებოდნენ N-46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, მერიის სამსახურის უფროსები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომა გახსნა N-46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მანანა ონიანმა. მან დეპუტატებს მიულოცა ადგლობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება და უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომის დროებით თავმჯდომარედ დაასახელა საკრებულოს უხუცესი წევრი მურადი ჩანქსელიანი.

მოისმინეს:ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დროებითმა თავმჯდომარემ მურადი ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი საკითხების შემდეგი თანმიმდევრობით:

1. N -46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება.

/ მომხს: N-46 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მანანა ონიანი/

2. სხდომის დროებითი სამანდატო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.

/ მომხს: საკრებულოს უხუცესი წევრი მურადი ჩანქსელიანი/

3 დროებითი ხმისდამთვლელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.

/მომხს: სხდომის დროებითი თავმჯდომარე მურადი ჩანქსელიანი/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს წევრთა

უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/ მომხს: სხდომის დროებითი თავმჯდომარე მურადი ჩანქსელიანი/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

/ მომხს: სხდომის დროებითი თავმჯდომარე მურადი ჩანქსელიანი /

6. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

7. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ.

/მომხს:საკრებულოს თავმჯდომარე/

8. საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

9.ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე/

10. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

11. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

12. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

13. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

14. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

15. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

/ მომხს: საკრებულოს თავმჯდომარე /

სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: N-46-ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მანანა ონიანმა გააკეთა მოხსენება - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შესახებ.(არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის). როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მანანა ონიანმა აღნიშნა N-46 საარჩევნო ოლქში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა დარღვევების გარეშე. არცერთ საარჩევნო უბანზე არ დაფიქსირებულა კანონდარღვევა და ოლქში არ შემოსულა საჩივარი და განცხადება საარჩევნო პროცესის დარღვევის თაობაზე.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს N-46 საოლქო საარჩევნო კომისის თავმჯდომარის მოხსენება არჩევნებთან დაკავშირებით.

2. მოისმინეს: საკრებულოს სხდომის დროებითმა თავმჯდომარემ დასვა საკითხი დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ.

აზრი გამოთქვა დეპუტატმა დალი ტვილდიანმა დაასახელა დროებითი სამანდატო კომისიის შემადგენლობა:

1.ხუტა მუკბანიანი;

2. მარეხი ონიანი

3. ლამზირა გუგავა

სხვა წინადადება არ ყოფილა.

დროებითი სამანდატო კომისიის შემადგენლობის ასარჩევად ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -0

თავი შეიკავა - 0

გადაწყვიტეს: დროებითი სამანდატო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს სამი წევრით:

1.ხუტა მუკბანიანი;

2. მარეხი ონიანი

3. ლამზირა გუგავა-

დროებითი სამანდატო კომისიის წევრებმა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ხუტა მუკბანიანი.

3.მოისმინეს: სხდომის დროებითმა თავმჯდომარემ მურადი . ჩანქსელიანმა დასვა საკითხი - სხდომის დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ. საკრებულოს წევრმა თორნიკე გასვიანმა დაასახელა ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობა:

1. ამირან ქურასბედიანი

2.კახა ლიაპრტელიანი

3. დალი ტვილდიანი

სხვა წინადადება არ ყოფილა.

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

გადაწყვიტეს: საკრებულოს სხდომის დროებითი ხმის დამთვლელი კომისია არჩეული იქნას წარმოდგენილი სახით. სხდომის დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ამირან ქურასბედიანი.

4.მოისმინეს: საკითხი ახალი მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების დამტკიცების თაობაზე.

N-46 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დროებით სამანდატო კომისიას გადასცა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მურადი ჩანქსელიანმა გამოაცხადა შესვენება 20(ოცი) წუთით. დროებითი სამანდატო კომისია გავიდა ცალკე ოთახში საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების შესამოწმებლად და შესაბამისი დასკვნის გასაკეთებლად.

საკრებულოს სხდომა განახლდა შევენებიდან 20 წუთში.

დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარე ხუტა მუკბანიანმა სხდომის წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა:

დროებითმა სამანდატო კომისიამ შეამოწმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაცია. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის არანაირი უზუსტობა, შესაბამისად N-46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის და შესაბამისი მასალების საფუძველზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია გიორგი გაზდელიანი და ყველა სამაჟორიტარო ოლქში გამარჯვებულია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი, პროპორციული სისტემით ქართულ ოცნებიდან არჩეულია 13 წევრი,,,გახარია საქართველოსთვის“ ნინო ბენდელიანი და ,,,ძლიერი საქართველო - ლელოდან“ გამზა ლიპარტელიანი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითმა სამანდატო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება უფლებამოსილება მიენიჭოს 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. (დასკვნა თან ერთვის).

განკარგულების - ახალი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისა და წინა მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: უფლებამისილება მიენიჭოს 2025 წლის 4 ოქტომბერს არჩეულ ახალ საკრებულოს და შესაბამისად შეუწყდეს უფლებამოსილება 2021 წლის 2 ოქტომბრის N-71 განკარგულების საფუძველზე არჩეულ საკრებულოს.

(განკარგულება თან ერთვის)

5.მოისმინეს: სხდომის დროებითმა თავჯდომარემ დასვა საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

საკრებულოს ყველა წევრმა წერილობითი ფორმით საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად წარადგინა დავით პირველი.

საკრებულოს თავმჯდომარის სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

საკრებულოს თავჯდომარის კანდიდატურისგან თანხმობის მიღების შემდეგ სხდომის დროებითმა თავჯდომარემ მურადი ჩანქსელიანმა ფარულ კენჭისყრეზე დააყენა საკრებულოს თავჯდომარის არჩევის საკითხი.

საკრებულოს დეპუტატებმა გაიარეს რეგისტრაცია. ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი. დაითვალა კენჭისყრის შედეგები: არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 23 დეპუტატმა.

მომხრე -22

წინააღმდეგი-1

ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი ოქმის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარედ არჩეული იქნა დავით პირველი .

(ოქმი N 1და განკარგულება თან ერთვის)

სხდომის დროებითმა თავმჯდომარემ მურადი ჩანქსელიანმა საკრებულოს ახლ თავმჯდომარეს დავით პირველს მიულოცა საკრებულოს თავჯდომარედ არჩევა და უსურვა წარმატებები.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახლი მოწვევის საკრებულოს მორიგი სხდომა გააგრძელა საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ დავით პირველმა. მან მადლობა გადაუხადა დეპუტატებს ნდობის გამოცხადებისთვის და აღნიშნა, რომ ის არის დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელი და თავის გუნდთან ერთად, მთავრობის მხარდაჭერით ყველაფერს გააკეთებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

6. მოისმინეს : სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გააგრძელა საკითხების შემდეგი თანმიმდევრობით :

1. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა დასვა საკითხი - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის თაობაზე.საკრებულოს დებულების მე -18 მუხლის მე -2 პუნქტის თანახმად საკრებულოს თავმჯდომარემ წერილობით ფორმით დაასახელა პირველი თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურა - ხუტა მუკბანიანი .

მოადგილის კანდიტატურის დასახელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. დეპუტატებმა გაიარეს რეგისტრაცია, ჩატარდა ღია კენჭისყრა. დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი.დაითვალეს არჩევნების შედეგები. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ამირან ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო ოქმი N 2 . ოქმის შედეგების მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 დეპუტატმა:

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიცოპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეული იქნას ხუტა მუკბანიანი .

7. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მორიგი საკითხია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. დაასახელა კანდიდატურა - ირაკლი ქურასბრდიანი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის პროცესი ჩატარდა ფარული კენჭისყრით:

მომხრე - 23

წინააღმდეგი -0

საკრებულოს წევრთა ხმათა უმრავლესობით - 23 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა ირაკლი ქურასბედიანი

8.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა აღნიშნა, რომ შემდეგი საკითხია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა. დაასახელა კანდიდატურა მარეხი ოხიანი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის პროცესი ჩატარდა ფარული კენჭისყრით:

მომხრე -22

წინააღმდეგი -1

საკრებულოს წევრთა ხმათა უმრავლესობით - ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა მარეხი ოხიანი.(ოქმი N-4 თან წერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს მოემზადებინათ განცხადებები და დოკუმენტები ფრაქციების დასარეგისტრირებლად. გამოაცხადა ოცწუთიანი შესვენება. შესვენების პერიოდში ჩატარდა ფრაქციების სხდომები.(ოქმები თან ერთვის). აირჩიეს ფრაქციების თავმჯდომარეები და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები.

შესვენების დროს, დროებითმა სამანდატო კომისიამ ჩაატარა სხდომა. განსაზღვრა კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

შესვენების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის იაკობ გაზდელიანის და ფრაქცია,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარის სოსო ავალიანის განცხადებები ფრაქციების დაფუძნების თაობაზე.მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წესდება და სხდომის ოქმი თან ერთვის განცხადებებს.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 30-მუხლის თანახმად საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ფრაქციების განცხადებები ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ,,ხალხის ძალას" დაფუძნება. სხვა განცხადება არ დაფიქსირებულა.

9.მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ დავით პიორველმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - კომისიებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნა, რომ:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 24-ე მუხლის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არის 5(ხუთი) კომისია:

1. სოც. საკითხთა კომისია;

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;

4. ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია;

5. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

კომისიების შემადგენლობა განისაზღვრება 5(ხუთი) წევრით. საკრებულოს ფრაქციებისა და უფრაქციო წევრების პროპორციულად კვოტები დადგინდა შემდეგი სახით:

1. კომისიის 3(სამი) წევრი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან";

2. კომისიის 1 (ერთი) წევრი - ფრაქცია ,,ხალხის ძალა";

3. საკრებულოს იმ წევრებს, , რომლებიც გაწევრიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვრათ 1(ერთი) კვოტა.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა. განკარგულების დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს კომისიებში წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გამოცხადდება შესვენება და ამ შესვენების დროს ფრაქციებმა ჩაატარონ სხდომები. განსაზღვრონ ფრაქციის წევრები კომისიებში და ასევე წარდგენილი წევრებიდან წერილობითი ფორმით წარმოადგინონ კომისიების თავმჯდომარეობის კანდიდატურები.

10.სხდომის განახლების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა წერილობითი მომართვა კომისიების შემადგენლობაზე და კომისიების თავმჯდომარეობის

კანდიდატურებზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა:

1. სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობა:

1. მევლუდ ლიპარტელიანი - თავმჯდომარის კანდიტატურა.

2. ხუტა მუკბანიანი;

3.ირაკლი ქურასბედიანი;

4.მურმან ტვილდიანი;

5. სოსო ავალიანი.

2. სოც. საკითხთა კომისიის შემადგენლობა:

1. ცირა ლიპარტელიანი - თავმჯდომარის კანდიტატურა.

2. მარეხი ონიანი;

3. ზურაბ ონიანი;

4. გოგი ონიანი;

5.დალი ტვილდიანი.

3. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

1. თორნიკე გასვიანი - თავმჯდომარის კანდიდატურა.

2. ამირან ქურასბედიანი;

3. ზურაბ ონიანი;

4.იაკობ გაზდელიანი;

5. ნინო ბენდელიანი.

4. საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა:

1. ელდარი ლიპარტელიანი - თავმჯდომარის კანდიდატურა.

2. ხუტა მუკბანიანი;

3. ამირან ქურასბედიანი;

4.რეზო გუჯეჯიანი;

5.ნინო ბენდელიანი.

5.ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის შემადგენლობა:

1. დავით ფურელიანი - თავმჯდომარის კანდიდატურა.

2.ირაკლი ქურასბედიანი;

3.კახა ლიპარტელიანი;

4. ემზარ ქალდანი;

5.გამზა ლიპარტელიანი.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული

11.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის შემდეგი საკითხი არის კომისიების თავმჯდომარეების არჩევა.

1. საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა. საკრებულოს თავმჯდომარემ კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელებულია ცირა ლიპარტელიანი. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა.დეპუტატებმა გაიარეს რეგისტრაცია, ჩატარდა ფარული კენჭისყრა. დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი. დაითვალეს არჩევნების შედეგები.ხმის დამთვლელი კომისიის წევრმა ამირან ქურასბედიანმა სხდომის წევრებს გააცნო ოქმი N-7. ოქმის მიხედვით კენჭისრაში მონაწილეობა მიიღო 23 დეპუტატმა:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 2

კენჭისყრის შედეგების მიხედვით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ცირა ლიპარტელიანი

(განკარგულება და ოქმი N -5 თან ერთვის)

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ დასვა საკითხი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის თაობაზე. ფარულ კენჭისყრაზე დადგა ფრაქციის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის - ელდარი ლიპარტელიანი არჩევა.

   ოპოზიციური პარტიების მხრიდან სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. დეპუტატებმა გაიარეს რეგისტრაცია, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი.დაითვალეს არჩევნების შედეგები. .ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ მევლუდი ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ოქმი N -6. ოქმის შედეგების მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 - მა დეპუტატმა.

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

ფარული კენჭისყრის შედეგებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ელდარი ლიპარტელიანი.

3. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის არჩევა. ფრაქციის მიერ კომისიის თავმჯდომარედ დასახელდა მევლუდი ლიპარტელიანი. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

   კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. დეპუტატებმა გაიარეს რეგისტრაცია, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი.დაითვალეს არჩევნების შედეგები .ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო ოქმი N 7- ოქმის შედეგების მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 - მა დეპუტატმა.

მომხრე - 22

წინააღმდეგი - 1

ფარული კენჭისყრის შედეგით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მევლუდ ლიპარტელიანი.

4. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ ფარულ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის არჩევა. კანდიდატურა დავით ფურელიანი.

კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა.დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი.დაითვალეს არჩევნების შედეგები.ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო ოქმი N-8.ოქმის შედეგების მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 - მა დეპუტატმა.

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

ფარული კენჭისყრის შედეგით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა დავით ფურელიანი.

5. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარემ ფარულ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევა. კანდიდატურა თორნიკე გასვიანი.

კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების შემდეგ ჩატარდა ფარული კენჭისყრა. დროებითმა ხმის დამთვლელმა კომისიამ გახსნა საარჩევნო ყუთი.დაითვალეს არჩევნების შედეგები.ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო ოქმი N-9 . ოქმის შედეგების მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 - მა დეპუტატმა.

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 2

ფარული კენჭისყრის შედეგით ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა თორნიკე გასვიანი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს მიულოცა ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება და უსურვა წარმატებები.მან გამოხატა მზაობა საკრებულოსთან ერთად აქტიურად იმუშაოს მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად და ამავე დროს ერთად იზრუნონ რაიონის წინსვლისთვის და განვითარებისათვის.

ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომა დამთავრდა 14 საათზე.